პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლის შედეგები

აკადემიური პროგრამა შედგება **240** კრედიტისაგან, რომლის ძირითადი სპეციალობის კომპონენტი მოიცავს **190** კრედიტს. მათ შორის:**165 ECTS** კრედიტი – ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მოიცავს სასწავლო პრაქტიკას **10** კრედიტის ოდენობით (რაც სტუდენტმა შესაძლებელია გაიაროს მეხუთე სემესტრის შემდეგ,სახელმწიფო სტრუქტურებსა და მათი მიერ დაფუძნებულ/კონტროლირებად დაწესებულებებში) და საბაკალავრო ნაშრომს **10** კრედიტის ოდენობით);

- **25 ECTS** კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსები (**33** არჩევითი სასწავლო კურსი);

პროგრამის დარჩენილი **50** კრედიტი მოიცავს:

- **20 ECTS** კრედიტი – უცხო ენები
- **20 ECTS** კრედიტი- თავისუფალი კრედიტები;
- **5 ECTS** კრედიტი – საინფორმაციო ტექნოლოგიები;
- **5 ECTS** კრედიტი – აკადემიური წერა.

სასწავლო კურსები

კურსის დასახელება	კრედიტი	სასწავლო კურსის მიზანი
სავალდებულო საგნები		
სოციოლოგია	**5**	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტს სოციოლოგიის, როგორც საზოგადოების შემსწავლელი მეცნიერული დისციპლინის ძირითადი ცნებები, ტერმინები, თეორიები, კონცეფციები და კვლევის მეთოდები. შეუქმნას მას სრულყოფილი წარმოდგენა სოციოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე და მისი გადაწყვეტის საშუალებებზე, დაეხმაროს სოციოლოგიური წარმოსახვის ფორმირებაში.
პოლიტიკური აზრის ისტორია	**5**	სასწავლო კურსის მიზანია საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შესძინოს საკვანძო პოლიტიკური ცნებებისა და იდეების სიღრმისეული ცოდნა, რომლებიც თანამედროვე სამყაროში დღემდე ჰეგემონურია. კურსის განმავლობაში სტუდენტები გაეცნობიან განსხვავებულ პოლიტიკურ ენებსა და ტრადიციებს, ისე როგორც პოლიტიკური იდეების ევოლუციას დროში. შედეგად, სტუდენტები გაიაზრებენ და კრიტიკულად გააანალიზებენ

		სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური მოაზროვნეების მიერ შემოთავაზებულ მსჯელობას ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა: • რა არის ძალა/ძალაუფლება? • რას ნიშნავს მოქალაქეობა; რა უფლებები და ვალდებულებები/მოვალეობები გააჩნია მოქალაქეს? • სამართლებრივ საზოგადოებაში როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი? რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო? • როდის ხდება მთავრობა "არალეგიტიმური"? როდის არის ლეგიტიმური აჯანყება პოლიტიკური ხელისუფლების წინაამდეგ? • რამდენად/რა ზომით შეუძლია მთავრობას ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში? • რა მიზნები და საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად პოლიტიკაში, და სხვა.
ეკონომიკის საფუძვლები	5	კურსის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ ეკონომიკის იდეებს და ძირითად პრინციპებს. მიიღონ ინფორმაცია ეკონომიკის ფუნქციონირების ზოგადი კანონზომიერებების შესახებ. კერძოდ, ჩამოუყალიბდეთ მარტივი ეკონომიკური ცნებებისა და კონცეფციების სწორად აღქმისა და გააზრების შესაძლებლობა. ასევე - განივითარონ ეკონომიკური შინაარსის საკითხების შესახებ სწორი მსჯელობისა და საკუთარი ნააზრევის ვერბალური და წერილობითი ფორმით წარმოდგენის
სამართლის საფუძვლები	5	კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები, სამართლის ძირითადი პრინციპები, კატეგორიები და ინსტიტუტები, სამართლის ოჯახები, სამართლებრივი ნორმების, ურთიერთობების და სუბიექტების იურიდიული პრობლემები და კატეგორიები, არამარლთზომიერი ქმედების არსი, სახეები, იურიდიული პასუხისმგებლობის პრინციპები და

		თავისებურებები, პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, აგრეთვე პასუხისმგებლობის შემსუბუქებისა და დამძიმების გარემოებები. იმის გათვალისწინებით რომ სამართალი არ არსებოს სახელმწიფოს გარეშე და პირიქით, აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს ჩამოუყალიბის სტუდენტს სახელმწიფოს შექმნის, არსებობის მნიშვნელობა, მიზნები და ფუნქციები, სახელმწიფოთა მრავალფეროვნება მისი მართვა-გამგეობის, ტერიტორიული მოწყობისა და პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით, სახელმწიფოს მექანისზმის სტრუქტურა, ქვეყნის მეთაურის როლი ამ სტრუქტურაში, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ადგილი ხელისუფლების განხორციელების პროცესში.
კონსტიტუციური სამართალი	**5**	საქართველოს კონსტიტუციური სამართლის შესწავლის მიზანია სტუდენტებს შეუქმნას ადეკვატური წარმოდგენა და ასწავლოს: საქართველოს ტერიტორიულ–სახელმწი¬ფოებ¬რივი მოწყობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და განხორციელების პრინციპები და პროცესი; დებულებები, რომელთაც ემყარება საქართველოს საარჩევნო სამართალი და საარჩევნო სისტემა, ადგი¬ლობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური პრინ¬ციპები. ყურადღება გაამახვილოს საქართველოს პოლი¬ტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბების, განხორ¬ციე¬ლებისა და გადაცემის თავისებურებებზე. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებას. შეძლებს მასალის წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას, გამოუმუშავდება უნარი გონივრულად შეაფასოს დამოკიდებულება განხილული ღირებულებების მიმართ. შეძლებს იმოქმედოს სოციალური და

		დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.
შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებებში	**5**	კურსის მიზანია, სტუდენტებს მისცეს ზოგადი ცოდნა პოლიტიკის, როგორც მეცნიერების შესახებ და გააცნოს პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების არსი.
მაკროეკონომიკა	**5**	სასწავლო კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების არსი და გამოყენების თავისებურებები; ასევე, მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზების და შეფასების ტექნიკა. სტუდენტები გააანალიზებენ ეკონომიკურ პოლიტიკას მაკრო დონეზე და (განსაზღვრავენ) მონატერული და ფისკალური პოლიტიკის გავლენას ეკონომიკაზე.
შესავალი პოლიტიკური იდეოლოგიებში	**5**	პრინციპებისა და დოქტრინების გაცნობიერება, რომლებიც დომინირებენ და განსაზღვრავენ პოლიტიკას. კურსის განმავლობაში ყოველი ძირითადი იდეოლოგია განხილული იქნება პოლიტიკურ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტში. კურსი ასევე ითვალისწინებს გლობალიზაციის გავლენის განხილვას პოლიტიკურ იდეოლოგიებზე. შეგედად, სტუდენტები გააცნობიერებენ იდეებისა და მოძღვრებების გავლენას თანამედროვე პოლიტიკურ რეალობებზე. კურსის მსვლელობისას განხილული იქნება შემდეგი პოლიტიკური იდეოლოგიები: ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზმი, ფაშიზმი, ანარქიზმი, ფემინიზმი და ეკოლოგიზმი.
შესავალი საჯარო მმართველობაში	**5**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შესძინოს საჯარო ადმინისტრირებაში არსებული კლასიკური ცნებებისა და იდეების სისტემური ცოდნა და გააცნოს მათ საჯარო ადმინისტრირება გლობალური განზომილებებისა და ცვლილებების ჭრილში. კურსი ასევე ისახავს მიზნად, საქართველოს მაგალითზე შესძინოს მათ ცოდნა ხელისუფლების გადანაწილების

		პრინციპზე; გააცნოს საჯარო სექტორის მუშაობის პრინციპები ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე; სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების განხილვით დაანახოს სტუდენტებს საჯარო ადმინისტრირების სისტემა საერთაშორისო და შედარებითი კონტექსტიდან; საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო სტრუქტურების როლის განხილვის პარარელურად, მიაწოდოს სტუდენტებს შესაბამისი ინფორმაცია სხვა აქტორების, კერძოდ არასამთავრობო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის თაობაზე.
მენეჯმენტის საფუძვლები	**5**	კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტების აღჭურვა ეფექტური კომუნიკაციისა და გაუმჯობესებული მენეჯმენტისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით. ასევე, გააცნოს მსმენელებს თანამედროვე მენეჯმენტის მიდგომები და მეთოდები; დაეხმაროს მათ ამ მეთოდების ეფექტურად გამოყენებაში, მათი ყოველდღიური საქმიანობისას.
ადმინისტრაციული სამართალი	**4**	კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს საქართველოს ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპები, შინაარსი და სისტემა. კურსი ასევე მიზნად ისახავს სტუდენტს აუხსნას კომუნიკაციის ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, საქართველოს ადმინისტრაციულ - სამართელებრივ აქტებზე მუშაობა.
ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	**5**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს: 1. სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივი ურთიერთობა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა რაკურსით; 2. ადამიანის უფლებათა წარმოშობის ისტორია, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ მსოფლიოში შექმნილი კონსტიტუციები და დეკლარაციები,მათი არსი და ძირითადი პრინციპები;

		3. საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამია¬ნის ძირითადი უფლებების, როგორც ხალხისა და სახელმწიფო ხელისუფლების შემზღუდავი უშუალოდ მოქმედი სამართლის მნიშვნელობა, ძირითადი უფლებების ცნება, კატეგორიები, მათი გამოყენების უფლებამოსილების მქონე ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ყოველი კონკრეტული ძირითადი უფლების ცნება, შინაარსი, მის მიერ დაცული სფერო, შესაძლებელი შეზღუდვის ფარგლები და ამ შეზღუდვის კონსტიტუციურ–სამართლებრივი საფუძვლები.
საჯარო გამოსვლები	**3**	კურსის მიზანია სტუდენტს ასწავლოს: • ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია, არსებულ აუდიტორიასთან ინტერაქციის შიშისა თუ კომპლექსის დაძლევა, ეფექტური კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით; • აუდიტორიის ანალიზი და მართვა; გამართული მეტყველების როლი საჯარო გამოსვლაში; • სხვადასხვა ვერბალური თუ არავერბალური მეთოდების გამოყენებით მომხსენებლის ძირითადი მესიჯის აუდიტორიამდე სრულყოფილად და ეფექტურად მიტანა.
ოფიციალური დოკუმენტების მომზადება	**3**	კურსის მიზანია სტუდენტს ასწავლოს: •ფუნქციონალური სტილისტიკის მთავარი პრინციპები, მისი უაღრესად საინტერესო უბანი - ოფიციალურ-საქმიანი სტილი; •ოფიციალური დოკუმენტაციის სახეები, მათი ენობრივი თავისებურებები; •ოფიციალური დოკუმენტაციის გაფორმებისა და შექმნის წესი; •ოფიციალური დოკუმენტაციის სპეციფიკური მომენტები (როგორებიცაა: ოფიციალური დოკუმენტაციის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები, ლექსიკა-ტერმინოლოგია, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები,

		მყარი ფორმულები და შტამპები, სიტყვაწარმოება, სიტყვათგანლაგება წინადადებაში, შესიტყვებები, წინადადებისა და ტექსტის აგების, აქტუალური საკითხები და სხვ.); •ოფიციალური საქმისწარმოების სფეროს მიკუთვნებული საკითხები.
საჯარო ფინანსების მართვა	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებს დაეხმაროს სახელმწიფო ფინანსების მეცნიერების საფუძვლიან ათვისებაში, პრაქტიკისა და თეორიის შემეცნებასა და კვლევითი შესაძლებლობების დაუფლებაში. კერძოდ, კურსის მიზანია სტუდენტებმა ვრცლად შეისწავლონ სახელმწიფო ფინანსების მართვა (PFM), მისი მიზნები, ძირითადი კონცეფციები, მასთან დაკავშირებული საკითხები, გააცნობიერონ კარგი ფინანსური მმართველობის არსი და მასში თითოეული მონაწილის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, დაეუფლონ კარგი ფინანსური მართვისათვის (GFG) საჭირო ასპექტებს, გაეცნონ როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დამყარებულ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს და შეიმუშავონ შესაბამისი რეკომენდაციები, გააცნობიერონ და შეაფასონ ფისკალური რისკები, ფისკალური პასუხისმგებლობა, კორუფციის შესაძლო რისკები სახელმწიფო ფინანსების სფეროში, გაანალიზონ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა, შეაფასონ შესაბამისი საბიუჯეტო გადაწყვეტილებები, ქვეყნის განვითარების საშუალოვადიანი გეგმა და პრიორიტეტები, სახელმწიფო ვალის, დეფიციტის მართვასთან დაკავშირებული საკითხები
სტატისტიკა სოციალურ მეცნიერებებისათვის	**5**	კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ზოგადი ცოდნა სტატისტიკის მიმართულებით; გამოუმუშაოს სტუდენტს მონაცემთა შეგროვების და მათი სწორად შერჩევის ძირითადი უნარები; სტუდენტმა შეძლოს მონაცემთა დამუშავების შედეგად ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება; სტუდენტმა აითვისოს პროგრამა Ms Excel და EViews-ის ძირითადი პრინციპები და მათი

		გამოყენებით შეძლონ მარტივი სტატისტიკური ამოცანების შესრულება.
საჯარო ინფორმაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა	**5**	კურსი მიზნად ისახავს საზოგადოებასთან ურთიერთობის განხილვას ორი მიმართულებით. ერთის მხრივ, განხილული იქნება „პიარი“, როგორც პოლიტიკური ტექნოლოგიების დარგი, მისი პრინციპები და ამოცანები, პიარ-სტრატეგიები, პიარ-ინსტრუმენტები და მათი გამოყენების სპეციფიკა. მეორეს მხრივ, კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი ამოცანები და განხორციელების თანამედროვე ინსტრუმენტების თეორიები საჯარო სამსახურში. კურსი მოიცავს ლექციებსა და სემინარებს საჯარო ინფორმაციის მნიშვნელობის, ფორმატის, მისი გავრცელების საკომუნიკაციო არხების და ზოგადად საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტრატეგიული კომუნიკაციის წარმოების, პრაქტიკული განხორციელების ინსტრუმენტებისა და შეფასების მექანიზმების თაობაზე.
ადამიანური რესურსების მართვა	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებს აუხსნას კერძო და საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენების მეთოდები, პროცედურები და პრაქტიკა, მოახდინოს შედარებითი ანალიზი საჯარო და კერძო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის პროცესისათვის დამახასიათებელი სპეციფიური ასპექტებისა, რათა სტუდენტები ჩაწვდნენ ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების თავისებურებებს, კერძო და საჯარო სექტორში კადრებით უზრუნველყოფის მეთოდებს შრომის ბაზრის ცვალებადი კონიუნქტურის პირობებში.
საჯარო პოლიტიკა	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა საჯარო პოლიტიკის პროცესის შესახებ და გააცნოს სტუდენტებს აღნიშნული პროცესის კანონზომიერებები; გააცნოს პოლიტიკის ფორმირების და აღსრულების პროცესი, მასზე გავლენის მოხდენის მსურველი ინსტიტუტები და მეთოდები, რომლებსაც ისინი მიმართავენ. განხულული იქნება

		ანგარიშვალდებულების და სამოქალაქო ჩართულობის გზები და საშუალებები, რაც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკის პროცესის სამართლიანობის და მიუკერძოებლობის მისაღწევად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პოლიტიკის პროცესის თავისებურებებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის მახასიათებლებიდან გამომდინარე, რაც კურსს უფრო ნაკლებ თეორიულს გახდის. კურსი დაეხმარება სტუდენტს გააცნობიეროს საქართველოში საჯარო პოლიტიკის დაგემგვის, განხორციელების და შეფასების პროცესი, მასზე გავლენის მოხდენის მსურველი აქტორების მოტივაცია და მიზნები. ამ მიზნით, ქართული მაგალითების გარდა, კურსში გამოყენებული იქნება მაგალითები ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი ისტორიიდან და პოლიტიკის დღის წესრიგში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის შემთხვევები. ქართული და ამერიკული სისტემების შედარების გზით, სტუდენტებს გაუდვილდებათ სუსტი ინსტიტუტების მქონე სახელმწიფოსა და ძლიერი, შემდგარი ინსტიტუტების მქონე სახელწმიფოებში მიმდინარე პოლიტიკის პროცესის ანალიზი. კურსის მიზანია სტუდენტმა დამოუკიდებლად შესძლოს საჯარო პოლიტიკის პროცესში გარკვევა და ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენა.
საერთაშორისო ეკონომიკა	**5**	კურსის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს გაერკვნენ სრულყოფილი კონკურენციისა და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრების შემთხვევებში საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის საფუძვლებში,საერთაშორისო პოლიტიკის მიერ ქვეყნის შიდა და მსოფლიო კეთილდღეობაზე მოხდენილი გავლენის ანალიზში;კურსი წარმოაჩენს შეფარდებით უპირატესობის წყაროებს, ვაჭრობიდან მიღებულ სარგებელს და განცდილ ზარალს, საგარეო ვაჭრობის გავლენას ეკონომიკურ

		ზრდაზე და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ტარიფები, ქვოტები, ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები და საექსპორტო სუბსიდიები. ასევე იქნება განხილული რეგიონალური სავაჭრო ხელშეკრულებები (როგორებიცაა ევროკავშირი და ჩრდილო-ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება) და მრავალმხრივი სავაჭრო ლიბერალიზაცია (მაგ: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია).
სახელმწიფო უწყებების ბიუჯეტის დაგეგმვა	**5**	სასწავლო კურსის უმთავრესი მიზანი არის სახელმწიფო ბიუჯეტირების, საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის ფუნქციების, საბიუჯეტო რეფორმების დეტალურად და პრაქტიკულ ასპექტში გაცნობა, იმ საკითხების განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენენ საბიუჯეტო პროცესზე, საბიუჯეტო გადაწყვეტილებებზე, საბიუჯეტო პოლიტიკაზე.კურსის მიზანია ახსნას: თუ რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბიუჯეტირება; რატომ არის საჭირო დარეგულირებული საბიუჯეტო პროცესი, როგორიც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო იარაღი ამომრჩეველსა და ხელისუფლებას შორის; რატომ და როგორ ახდენს საბიუჯეტო პროცესი პრობლემების, პოლიტიკის და გადაწყვეტილებების დარეგულირებას; როგორ და რატომ შეულია საბიუჯეტო პროცესს მოახდინოს სახელმწიფო მმართველობის შედეგებზე ორიენტირებულ მართვამდე მიყვანა. კურსის მიზანია სტუდენტებმა გააცნობიერონ კარგი ბიუჯეტირების არსი და მასში თითოეული მონაწილის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის საკითხები, გააცნობიერონ საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული რისკები, გაანალიზონ ბიუჯეტირების თითოეული ეტაპი და შეაფასონ საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა ფუნქციები და ვალდებულებები, გააცნობიერონ საფინანსო სექტორის ეფექტური ზედამხედველობა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი როლი ბიუჯეტირების პროცესში,

		გაანალიზონ საკანონმდებლო პროცესის და საბიუჯეტო პროცესის უერთიერკავშირები, შეაფასონ რეგულირების გავლენა ეკონომიკაზე და უმთავრესად ფინანსებზე, გაანალიზონ ფისკალური პოლიტიკის ინდიკატორები, ბიჯეტირებასთან დაკავშირებული რეფორმები საქართველოში.
კვლევის მეთოდოლოგია სოციალური მეცნიერებებისათვის	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს საბაზისო თეორიული ცოდნა სამეცნიერო კვლევის მეთოდებში და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევა, თუ როგორ დაწერონ კვლევითი ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი. კურსის მსვლელობისას სტუდენტები ასევე ისწავლიან კვლევისათვის შერჩეულ თემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნის არეალის გაფართოებას, რათა მათ შეძლონ უახლესი ინფორმაციის მოსაპოვებლად სათანადო წყაროების შერჩევა და მათი მეშვეობით საჭირო მონაცემების მოპოვება და სისტემაში მოყვანა; ასევე სტუდენტმა უნდა მოახერხოს თემის კრიტიკული გააზრება, კვლევის მეთოდოლოგიის დაგეგმვა ხელმძღვანელთან ერთად და მისი განხორციელება. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს განუვითაროს ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა მათ შეძლონ თემის კვლევისათვის ოპტიმალური მიდგომებისა და მეთოდების შერჩევა და მცირე მასშტაბის კვლევის ჩატარება.
პროექტის მენეჯმენტი	**5**	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს პროექტების მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სწავლებას. კურსის შესწავლით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დაეუფლონ პროექტის შემუშავების, შერჩევის, კონტროლისა და მართვის, ორგანიზაციული კულტურისა და გუნდის მართვის საკითხებს, გაიზიარონ პროექტების შემუშავებასა და მართვაში არსებული მსოფლიო გამოცდილება და გამოიმუშაონ თანამედროვე მენეჯერისათვის აუცილებელი უნარ–ჩვევები.

ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლები	5	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, მიზნების, პრინციპებისა და ძირითადი ნიშნების გაცნობას; „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის დებულებების შესახებ ცოდნის მიწოდებასა და მის ანალიზს; სტუდენტებისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ცოდნის მიწოდებას. კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის მნიშვნელობა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ძირითადი ცნებები, ორგანული კანონით დადგენილი თვითმმართველობის ინსტიტუციური სტრუქტურა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს განუმარტოს და დაანახოს თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები და მექანიზმები.
ორგანიზაციული ქცევა	5	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა ორგანიზაციული ქცევის თეორიებსა და პროცესებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციაში თანამშრომელთა ქცევაზე; წარმოაჩინოს და განუმარტოს სტუდენტებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორგანიზაციული ქცევის ფაქტორების გათვალისწინება და მათი სწორი მართვა ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმების განხორციელებისთვის, კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და პოზიტიური რეზულტატის მიღწევისთვის; გააცნოს სტუდენტებს თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას დასაქმებულების მოტივაციაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შიგნით სწორი კომუნიკაციის არსებობა, როგორ გავლენას ახდენს ინდივიდის თავდაჯერებულობა ინდივიდის ქცევაზე, ჯგუფის ერთსულოვნებასა და ლიდერობაზე.
საქართველოს ეკონომიკა	5	სტუდენტებს მისცეს სისტემური ცოდნა საქართველოს ეკონომიკის, როგორც

		ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებების შესახებ; შეასწავლოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან თანამედროვე პერიოდამდე საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების არსი და თავისებურებანი; შეასწავლოს საქართველოს ეკონომიკის ძირითადი სექტორების პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია და ჩამოუყალიბოს საფუძვლიანი ცოდნა საქართველოს საერთაშორისო ფუნქციისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი ვექტორის შესახებ. სტუდენტებს გააცნოს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები დარგობრივ ჭრილში, დაანახოს, თუ როგორია ეკონომიკის ზრდის ტემპები და განვითარების პრიორიტეტები; სტუტენდებს მისცეს ის ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ, რომ სწორად შეაფასონ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და ღონისძიებების ზემოქმედება, როგორც მთლიანად საზოგადოებაზე, ასევე ეკონომიკის განვითარებაზე.
სტრატეგიული მართვა	**5**	სასწავლო კურსის მიზანია: სხვადასხვა ბიზნესის სიტუაციური ანალიზების განხილვისა და შესწავლის შედეგად სტუდენტს გამოუმუშავოს ბიზნეს სტრატეგიის ანალიზის, ფორმულირების და შერჩევის უნარი; სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის და მნიშვნელოვანი კომპონენტების შესწავლა, გააზრება და სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის გაანალიზება შეასწავლოს სტუდენტებს სტრატეგიული მენეჯმენტის მეთოდოლოგია და გააუმჯობესოს მათი საკომუნიკაციო უნარები, როგორც თანამედროვე მენეჯმენტის ერთერთი აუცილებელი იარაღი.
მმართველობა საქართველოში	**5**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს მმართველობის (governance) ცნება

		და ძირითადი ტენდენციები, გამოწვევები დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებსა და საქართველოში. გარდა სხვადასხვა ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტისა, კურსი ასევე მოიცავს არაფორმალურ აქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე კომპლექსური საზოგადოების მართვაზე.კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან როგორც ცენტრალურ ხელისუფლებას, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და საჯარო სამსახურს, ისე კვაზისამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, ინტერესთა ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და მოქალაქეთა გაერთიანებებს, მედიას, ელექტორატს, საერთაშორისო აქტორებსა და კერძო სექტორს. გარდა ამისა, სტუდენტები ასევე შეისწავლიან საჯარო პოლიტიკურ პროცესს საქართველოში სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის იმას, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება. ყურადღება გამახვილდება ბოლო წლებში განხორციელებულ ადმინისტრაციუ ლრეფორმებზე და მათ გავლენაზე მმართველობაზე.
სასწავლო პრაქტიკა	10	პრაქტიკის მიზანია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების გზით ხელი შეუწყოს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას და მათ კარიერულ წინსვლას. კერძოდ, პრაქტიკის უშუალო ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად სტუდენტი გამოიმუშავებს ისეთ უნარებს, როგორიცაა დავალებათა პრიორიტეტული გადანაწილება, სამუშაო გარემოსთან ადაპტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ამასთან, აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტი სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს წარმატებით შეათავსოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, გამოიმუშავოს კორპორატიული კულტურა და შეიქმნას დასაქმების პერსპექტივა.

საბაკალავრო ნაშრომი	**10**	საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა წარმოადგენს მთელი საბაკალავრო პროგრამის ფინალურ ეტაპს. პროგრამის მოთხოვნების მიხედვით სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომზე ინტენსიურ მუშაობას იწყებენ მხოლოდ წინაპირობების დაკმაყოფილების შემდეგ. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის მიზანია წარმოაჩინოს სტუდენტის მიერ საკვლევი თემის კრიტიკულად გაანალიზების უნარი ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას ძირითადი ყურადღება ეთმობა საკვლევი შეკითხვის და კვლევის მეთოდის სწორად შერჩევას, საკითხთან დაკავშირებული თეორიული და ემპირიული მასალის ანალიზს. საბაკალავრო ნაშრომის წერა მიმდინარეობს თემის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით, აკადემიური წერის წესების გათვალისწინებით და წყაროების მითითების იმ მეთოდით, რომელსაც უნივერსიტეტი ცნობს.
ინფორმაციული ტექნოლოგიები	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს კომპიუტერული ტექნოლოგიები და ოფისის პროგრამები,რათა შეასრულონ სხვადასხვა დავალებები, მონაცემთა ანალიზი,შედეგების წარდგენა პრეზენტაციის მეშვეობით.
აკადემიური წერა	**5**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებმა ისწავლონ თეზისების, რეფერატების, კვლევითი პროექტების და სხვა სამეცნიერო ნაშრომების დაგეგმვა/განხორციელება და სტანდარტის შესაბამისად გაფორმება. შეძლონ სამეცნიერო წერის ნორმებით არგუმენტების მოძიება,წყაროების მოძიება და მითითება, სტილის დაცვა, პლაგიატისთვის თავის არიდება, ციტირება და ბიბლიოგრაფიის მითითება. კურსის გავლის შემდგომ სტუდენტებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა მკითხველისთვის სამეცნიერო ნაშრომის შესრულება და პრეზენტაცია.

პროფესიული ინგლისური I	**5**	სასწავლო კურსის მიზანია **საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის** სფეროში შესაბამისი ლექსიკის დაუფლება. კურსი ითვალისწინებს 4 ძირითადი ენობრივი უნარ-ჩვევის: მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი - კომპეტენციების გაღრმავებას პროფესიული ენის დაუფლების პროცესში.
პროფესიული ინგლისური II	**5**	სასწავლო კურსის მიზანია პროფესიული ენის შესწავლა და შესაბამისი ლექსიკის დაუფლება. კურსი ითვალისწინებს 4 ძირითად-ენობრივი უნარ-ჩვევის: მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი -კომპეტენციების გაღრმავებას პროფესიული ენის დაუფლების პროცესში. კურსი ასევე ითვალისწინებს პროფესიული ენის შესაბამისი ლექსიკის განვითარებასა და დაუფლებას B2 დონეზე.
არჩევითი საგნები		
სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია	**5**	სასწავლო კურსის მთავარი მიზანია სტუდენტებს გააცნოს სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების საფეხურები დაწყებული ანტიკური სახელმწიფოებისა და სამართლის ისტორიიდან, თანამედროვე იურიდიული სისტემისა და სახელმწიფოს ჩათვლით.
შესავალი განათლების პოლიტიკაში	**5**	კურსის მიზანს წარმოადგენს განათლების მიზნებისა და საგანმანათლებლო სისტემების პოლიტიკური ბუნების შესწავლა. კურსის ფარგლებში სტუდენტები პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განზომილებებში განიხილავენ განათლების სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებებს, რაც მათ საშუალებას მისცემს ობიექტურად შეაფასონ განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა.
შესავალი ჯანდაცვის პოლიტიკაში	**5**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ჯანმრთელობის დაცვის არსი და მნიშვნელობა, მისი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი და ძირითადი დეტერმინატები; ჯანდაცვის სისტემის ძირითადი მოდელები, მისი მუშაობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ასპექტები; ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრუქტურული მოწყობა

		და დაფინანსების მეთოდები; დაეხმაროს გაიაზროს თანამედროვე ჯანდაცვის ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე საქართველოში.
სოციალური პოლიტიკა	**5**	სასწავლო კურსის მიზანია, ღრმად და კომპლექსურად შეასწავლოს სტუდენტებს სოციალური პრობლემების მნიშვნელოვანი ასპექტები და მათი გადაწყვეტის გზები; სტუდენტები გაეცნობიან სოციალური პოლიტიკის თეორიულ მიდგომებს და იმ მრავალფეროვან გამოცდილებას, რომელიც დაგროვდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალური სისტემების ხანგრძლივი განვითარების შედეგად; სტუდენტები გაეცნობიან ევროკავშირის ქვეყნების სოციალურ პოლიტიკას; გაიგებენ, თუ როგორაა შესაძლებელი სხვადასხვა სოციალური მოდელის პრაქტიკაში დანერგვა.
ეკონომიკური ზრდა და განვითარება	**5**	სასწავლო კურსის მიზანია ბოლო 200 წლის განმავლობაში ზრდის მოდელების ისტორიული ევოლუციის ანალიზი; მისცეს სტუდენტებს თეორიული ცოდნა გლობალურ ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის (ფიზიკური კაპიტალის, ადამიანური კაპიტალის, ტექნოლოგიების და ა.შ.) როლზე; ეკონომიკური ზრდის ძირითადი დეტერმინანტების ანალიზი.
ევროინტეგრაციის ეკონომიკა	**5**	კურსის მიზანია შესთავაზოს სტუდენტებს ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის, მისი ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის საკითხების ფუნდამენტალური ანალიზი; მისცეს სტუდენტებს ევროკავშირში გამოყენებული ინტეგრაციული მეთოდების დეტალური ცოდნა; ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის და მისი ინსტიტუტების ისტორიული ევოლუციის ანალიზი.
მონეტარული ეკონომიკა	**5**	კურსის მიზანია აჩვენოს არსებული კრიტიკული მნიშვნელობის მქონე თემებისადმი მოწინავე არსებული დამოკიდებულება და ის მოდელები, რომლებსაც იყენებენ ეკონომისტები რეალური და მონეტარული ფაქტორების ურთიერთქმედების დასადგენად. კურსი უზრუნველყოფს ფულის ზოგადი

		წონასწორობის მოდელების და მოკლევადიან პერსპექტივაში მონეტარული პოლიტიკის რეალური ეფექტების ფართო გაანალიზებას.
მსოფლიო ეკონომიკის განვითარება	5	სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებისთვის ეკონომიკური განვითარების ისტორიული ეტაპების შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიცემა. კურსი აქცენტს აკეთებს, მსოფლიო ისტორიის ეკონომიკურ ასპექტებზე და ამდენად, მიზნად ისახავს სტუდენტებში გააღრმავოს ცოდნა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.
საერთაშორისო ორგანიზაციები	5	კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა საერთაშორისო ორგანიზაციების, მათი ტიპოლოგიის, თანამედროვე პოლიტიკაში მათი როლის, ფუნქციებისა და პრინციპების შესახებ. ასევე, მიაწოდოს ორგანიზაციის შექმნის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტი, მათი სტრუქტურა და ფუნქციონირების თავისებურებები.
ევროინტეგრაციის პოლიტიკა	5	კურსის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს ევროინტეგრაციის პოლიტიკა, რაც მოიცავს ევროინტეგრაციის ისტორიულ მომოხილვას, ევროინტეგრაციის პროცესის ახსნის ძირითად თეორიულ სკოლებს, ორგანიზაციის ინსტიტუციურ მოწყობას, ასევე, კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს წარმოდგენა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ძირითად მექანიზმებს და არსებულ გამოწვევებს.
დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტი	5	კურსი მიზნად ისახავს შეასწავლოს სტუდენტებს, თუ რას წარმოადგენს დიპლომატია და დიპლომატიური პროტოკოლი. დიპლომატიის და დიპლომატიური სამსახურის შექმნის მოკლე ისტორიას და ამ უკანასკნელის მნიშვნელობას დიპლომატიური სამსახურისათვის. დიპლომატიური პროტოკოლის შემადგენელ ნაწილებს, როდის და როგორ გამიყენება დიპლომატიური ეტიკეტი და მასთან დაკავშირებული აქტივობები.

მოლაპარაკებები და კონფლიქტების გადაწყვეტა	5	სასწავლო კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს კონფლიქტების გადაჭრის და მოლაპარაკებების დიპლომატიის ძირითადი საკითხები; კურსი მოიცავს როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ რაკურსს მედიაციის როლზე კონფლიქტების გადაჭრისას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ საკითხებს როგორიცაა: კონფლიქტების ტიპოლოგია, წარმოშობის მიზეზები, კონფლიქტების სტრუქტურა ფუნქცია, დინამიკა და ასევე კონფლიქტის სახეობები. სტუდენტები შეისწავლიან თუ როგორ არის შესაძლებელი კონფლიქტების მოწესრიგება მესამე მხარის მონაწილეობით; მოლაპარაკებების წარმართვის მეთოდებს; პოზიციის დაცვის ზოგიერთ ნიუანსს; მომლაპარაკებელი მხარეების გამოყოფას დისკუსიისა და განსახილველი პრობლემებისგან, მათ ინტერესებს; დიპლომატიური მოლაპარაკების გავლენას კონფლიქტების მოგვარების პროცესზე.
შედარებითი პოლიტიკა	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს პოლიტიკის მეცნიერების ქვედისციპლინა შედარებითი პოლიტიკა. კურსი განიხილავს შედარებითი პოლიტიკის ძირითად თემებს, ცნებებს, თეორიებს დამეთოდებს. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა პოლიტიკური სისტემებისა და ინსტიტუტების შედარებით ანალიზს, რეჟიმების ტრანსფორმაციას, კლასიფიკაციას და მათ კავშირს ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებასთან. კურსზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური სისტემების განვითარების მახასიათებლებზე, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობაზე, პარტიულ და საარჩევნო სისტემებზე შედარებითი ანალიზის ჭრილში. სტუდენტები ასევე შეადარებენ მსოფლიო პოლიტიკაში

		მიმდინარე სხვა აქტუალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს.
საქართველოს საგარეო პოლიტიკა	**5**	სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენს სტუდენტი გაეცნოს ისტორიულ ცვლილებებს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, შეძლოს საგარეო პოლიტიკის მახასიათებლების განსხვავება სხვადასხვა დროს. ეს საკითხები შესასწავლი იქნება თეორიული სტრუქტურის საფუძველზე, პატარა ქვეყნების მაგალითზე, რომლებიც წარმოდგენილი არიან საერთაშორისო არენაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული იქნება პოსტ-საბჭოთა პერიოდზე. კერძოდ, ამ პერიოდში საეთაშორისო პოლიტიკის განვითარებაზე, თუ როგორი იყო საგარეო პოლიტიკა, მაშინ, როდესაც ხდებოდა შიდა პოლიტიკაზე ზემოქმედება.
საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	**5**	აღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი და მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. იმ მოვლენების, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო მოწყობის გეგმა და საფუძველი დაუდეს მსოფლიოს ახალ ჩამოყალიბებას, განვითარებას და დიპლომატიური ურთიერთობების გარკვეული მეთოდების დამკვიდრებას. ისტორიული ფაქტორები და მოვლენები, რომელსაც სასწავლო კურსი შეისწავლის საშუალებას მისცემს სტუდნეტებს ამ მოვლენებზე დაყრდნობით გაანალიზონ და შეაფასონ მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები, კრიზისები და კონფლიქტები; ისინი გაეცნობიან წარმატებული პოლიტიკური პირების დიპლომატიურ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, რამაც გარდატეხა მოახდინა მსოფლიოს და ასევე მათი საკუთარი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რომის საღვთო იმპერიის დაშლის შემდგომ ვესტფალიის ხელშეკრულებით შექმნილ ევროპის ახალ, თანამედროვე პოლიტიკურ პრინციპებს და ფასეულობებს, რამაც რადიკალურად შეცვალა ძველი, რელიგიაზე

		დაფუძნებული პოლიტიკა და სათავე დაუდო დღევანდელ სუვერენულ და უსაფრთხო მსოფლიოს შექმნას; საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და აშშ-ს ისტორიულ პოლიტიკურ კურსს; სამიტებს, კონგრესებს, ალიანსების შექმნას, თითოეული სახელმწიფოს ინტერესებზე დაფუძნებული ქვეყანათა შორის ურთიერთობებს; ამერიკის გამოჩენას თანამედროვე მსოფლიოში და მთელ რიგ ცვლილებებს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე; საერთაშორისო ურთიერთობებს როგორც ცივი ომის პერიოდში და ასევე ბიპოლარული სისტემის დაშლის შემდგომ;
სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები	**5**	უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოება იქცა ცენტრალურ ცნებად სოციალურ მეცნიერებებში. სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს შუალედს სახელმწიფოსა და პირად ცხოვრებას შორის და მოიცავს ყველა ასპექტს, დაწყებული ასოციაციებითა და არასამთავრობო ორგანიზაციებით და დამთავრებული საპროტესტო მოძრაობებით. აღნიშნული სასწავლო კურსი თემას სამი კუთხით განიხილავს: როგორც საზოგადოების ნაწილს (ნებაყოფლობითი ასოციაციები); როგორც ერთგვარ საზოგადოებას (განსაზღვრული გარკვეული სოციალური ნორმებით); და როგორც სივრცეს მოქალაქის მოქმედებისა და ჩართულობისთვის (საჯარო სივრცე). კურსი მიმოიხილავს სამოქალაქო საზოგადოებას როგორც განვითარებულ ასევე განვითარებად სამყაროში.
ქართული ცივილიზაციის ისტორია	**5**	აღნიშნული კურსი შეისწავლის ფართო რეგიონულ და ტრანს-რეგიონალურ კონტექსტში საქართველოს ცივილიზაციის ისტორიის ძირითად ასპექტებს, დაწყებული უძველესი დროიდან თანამედროვე ისტორიული პერიოდით დასრულებული. იგი მოიცავს ინტერდისციპლინარულ კომპონენტებს, რომელიც კავკასიის რეგიონის ფარგლებში აერთიანებს სასწავლო კულტურასა და საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ

		ისტორიას. სასწავლო კურსი მოამზადებს სტუდენტებს, რათა მათ შეძლონ საქართველოს ისტორიის ძირითადი კვლევების განხორციელებისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში თანამშრომლობა და მათ შესაფასებლად კრიტიკულ ანალიტიკური უნარ-ჩვევების განვითარება;
მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	**5**	სასწავლო კურსის მიზანია: სტუდენტებს გააცნოს მსოფლიო ცივილიზაციის ქარგაში მოქცეული საზოგადოებები, მათი განვითარების ტრაექტორიები, ურთიერთმიმართებები და ზოგადსაკაცობრივო მიღწევები. დიაქრონულ სისტემაში (ძველი პერიოდი, შუა საუკუნეები, ახალი პერიოდი) განისაზღვროს ცივილიზაციის მახასიათებლები (სახელმწიფო, სახელისუფლო ინსტიტუტები და პოლიტიკური ორიენტირები, რელიგიური ორგანიზაციები), სახელმწიფოს და ეთნოსის, ერის და მოქალაქეობის საკითხები, კომუნიკაციების სისტემა - დამწერლობა და ენები, დიპლომატიური კომუნიკაციები, სოციალური და ისტორიული აგენტები, სოციალური პრაქტიკის ელემენტები. განისაზღვროს კულტურული მონაპოვარი, კულტურული განგრძობითობა და მემკვიდრეობითობა, ცივილიზაციის რაობის ძირითადი პრობლემები, კონცეპტები და კონცეფციები (ისტორიოგრაფიული, ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური მასალის დაწყაროებზე გამოყენებით). სასწავლო კურსი მოიცავს თეორიულ-კონცეპტუალურ პრობლემებს და კვლევებს; ასევე კურსი ეყრდნობა ემპირიული მასალის და მონაცემების ინტერპრეტაციასადა მოდელირებას კერძოდ, ემპირიული მაგალითებით და თემატური კვლევებით (Case Studies) ვახდენთ სხვადასხვა ისტორიული მოვლენის, პროცესის და მაკრო-სოციალური პროცესის მოდელირებას.

კულტუროლოგია	5	სასწავლო კურსის მიზანია, მისცეს სტუდენტს საბაზისო ცოდნა კულტუროლოგიაში. გააცნოს ძირითადი თეორიები, მიდგომები, ტენდენციები და პრინციპები და კულტუროლოგთა კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი შედეგები. სტუდენტებს დაანახოს კულტუროლოგია როგორც ინტეგრალური მეცნიერება. გააცნოს, თუ რას წარმოადგენს კულტურა, მის ფუნქციები, სტრუქტურა, კულტურათა სოციოდინამიკა, მისი განვითარების თავისებურებები; დაანახოს სტუდენტებს ქართული კულტურა ევროპული კულტურის ჭრილში; აღნიშნული კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურათა მრავალფეროვნებისა და უნიკალურობას იდენტურობის შენარჩუნებისა და ტოლერანტულ მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის.
ფსიქოლოგია	5	კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლოგიის ძირითადი თეორიები და გამოყენებითი ფსიქოლოგია. ის მისცემს სტუდენტებს ფართო ცოდნას აღნიშნულ დისციპლინაში, რომელიც სამომავლოდ დაეხმარება აითვისოს უფრო მოწინავე ფსიქოლოგიური კურსები. სასწავლო კურსის მიზანია სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი საკითხების, ადამიანის სოციალური გავლენისა და ურთიერთქმედების სამეცნიერო შესწავლა. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა საზოგადოების აზროვნების და ქმედების ურთიერთდამოკიდებულებას. კურსი განიხილავს ისეთ თემებს, როგორიცაა სოციალური თვითმმართველობის კონცეფცია , სოციალური განაჩენი, დარწმუნის ხელოვნება, აგრესია, კონფლიქტის მოგვარება, ინტერპერსონალური ურთიერთობები.
კარიერული განვითარება	5	კურსის მიზანია განავითაროს პერსონალური კარიერული მართვის კომპეტენციები, გაზარდოს სტუდენტის დასაქმების შესაძლებლობა და კარიერული წარმატება. კურსი მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა კარიერის დაგეგმვა, განვითარება და მართვა; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თვით-

		შეფასების პროცესს და თვით-შეფასების მეთოდებს: ხასიათის, ინტერესების, უნარების, ღირებულებების, ემოციური ინტელექტი და მოტივაციის განმსაზღვრელ ტესტებს. თვით-შეფასების შედეგების და სტუდენტთა მიერ მათი კარიერული შესაძლებლობების შესახებ კვლევის საფუძველზე, რომელიც ასევე მოიცავს დაფარულ სამუშაო ბაზარს, სტუდენტები შეიმუშავებენ გამართულ კარიერულ ხედვას. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება სამუშაოს აქტიურ ძიების პროცესს - ეფექტური CV-ის, სამოტივაციო წერილის შედგენას, ეფექტური Linkedin პროფილის შექმნას, სამუშაო გასაუბრებისთვის მომზადებას; სტუდენტები ეცნობიან ძლიერი პერსონალური ბრენდის შექმნის და მართვის ტექნიკებს; წარმატებულიად დასაქმების შემდეგ, სტუდენტები ასევე ეცნობიან სამუშაო ადგილზე მოქცვის წესებს და უწყვეტი სწავლის/მუდმივად განვითარების მეთოდებს; კურსი ასევე შეეხება სამუშაოსა და პირადი ცხოვრების დაბალანსების და პირადი რესურსების მართვის საკითხებს.
კულტურათშორისი კომუნიკაციები	**5**	კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემასთან - კულტურათშორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. კურსში გაანალიზებულია კულტურათშორისი კომუნიკაციის არსი და თანამედროვე მსოფლიოში მისი აქტუალიზაციის განმაპირობებელი მიზეზები. კულტურათშორისი კომუნიკაციის როლი თანამედროვე მსოფლიოს პრიორიტების - კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებასა და კულტურული უსაფრთხოების - დაცვაში. ხაზგასმულია კულტურათშორისი კომუნიკაციის მნიშვნელობა მრავალკულტურულ საზოგადოებაში.
შესავალი საჯარო პოლიტიკის ანალიზში	**5**	კურსის მიზანია პოლიტიკის ანალიზის, როგორც საჯარო პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული კვლევის მეთოდოლოგიისა და ტექნიკების გადაცემის მეშვეობით სტუდენტებს გამოუმუშაოს საჯარო პორბლემების გადაწყვეტის უნარები და საჯარო-ანალიტიკური ნარკვევენის წერის უნარ-ჩვევები, რაც, საბოლოო ჯამში,

		მას უყალიბებს პოლიტიკის ანალიტიკოსის უნარ-ჩვევებს. კურსის ფარგლებში პოლიტიკის ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის ათვისებასთან ერთად სტუდენტებს აქვს პრაქტიკული უნარ-ჩვევები პოლიტიკურ-გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ გამოსაყენებლად. საკვლევი პრობლემურ-პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, კურსის დასასრულს სტუდენტებს პოლიტიკის ანალიზის შესაფერისი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი შერჩევა შეეძლებათ. კურსის ფარგლებში შესწავლილი ანალიტიკური მეთოდოლოგია მათ კვლევის სრულყოფილი ჩატარების საფუძველს მისცემს.
საერთაშორისო საჯარო სამართალი	**5**	კურსის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ საერთაშორისო საჯარო სამართალი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგი, გაეცნონ მის სისტემას, მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, შეისწავლონ საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპთა შინაარსი, მათი გამოყენება და განმარტება, ვინაიდან ისინი ქმნიან საერთაშორისო სამართლის ძირითად საფუძვლებს, განხილული იქნება საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მთავარი ასპექტები, რათა გაანალიზონ საერთაშორისო ხელშეკრულებების სახეები და მათი დადების წესი, ეტაპები. გარდა ამისა, სასწავლო კურსი ეხება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად ასპექტებს; საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებს; საერთაშორისო დავების გადაწყვეტის საშუალებებს; ძალის გამოყენების სამართლებრივ ასპექტებს საერთაშორისო სამართალში.
პროფესიული ინგლისური III	**5**	სასწავლო კურსის მიზანია **საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის** სფეროში შესაბამისი ლექსიკის დაუფლება. კურსი ითვალისწინებს 4 ძირითადი ენობრივი უნარ-ჩვევის: მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი

		- კომპეტენციების გაღრმავებას პროფესიული ენის დაუფლების პროცესში.
სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების მართვა	**5**	მოცემული კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, პრობლემები, პასუხისმგებლობები. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურული და სხვა კომპლექსური საკითხები. ასევე, პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვის საკითხებთან.
პროფესიული ინგლისური IV	**5**	სასწავლო კურსის მიზანია **საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფო მმართველობის** სფეროში შესაბამისი ლექსიკის დაუფლება. კურსი ითვალისწინებს 4 ძირითადი ენობრივი უნარ-ჩვევის: მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი - კომპეტენციების გაღრმავებას პროფესიული ენის დაუფლების პროცესში.
რეგულირების გავლენის შეფასება (RIA)	**5**	წარმოდგენილი სალექციო კურსის მიზანია, მოამზადოს სტუდენტები, რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) თეორიულ და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში. რეგულირების გავლენის შეფასება წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, შეაფასონ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების (ნებისმიერი სახის რეგულირების) დადებითი და უარყოფითი მხარეები და მათი პოტენციური გავლენა. რეგულირების გავლენის შეფასება არის კარგი მმართველობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. მისი მიზანია, მოახდინოს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა წინასწარი ინფორმირება მარეგულირებელი ქმედებების შესახებ და უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განიხილება მოცემული ქმედების შესაძლო გავლენების (ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და სხვ.) ყველა ძირითადი ხარჯი და სარგებელი.

		რეგულირების გავლენის შეფასება მოიცავს სხვადასხვა შესაძლებლობის განხილვას, მათ შორის არამარეგულირებელი ალტერნატივისაც და სწორად მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ ალტერნატივის გამოკვეთას, რომელიც მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი გზა იქნება ანუ ის, რომელიც წმინდა სარგებლის მაქსიმიზაციას ახდენს. სასწავლო კურსი აერთიანებს იმ პოლიტიკას, პროცედურებს და სისტემებს, რაც საჭიროა მდგრადი, ეფექტური, ეფექტიანი და გამჭვირვალე, ამავე დროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებით გამყარებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჯარო პოლიტიკის სფეროში. კურსი დაფუძნებულია მიდგომაზე, რომ სიღრმისეულად მოხდეს გააზრება და შესწავლა გავლენის იმ სფეროების, რაზეც ზემოქმედებას ახდენს კონკრეტული რეგულაცია ან/და პოლიტიკა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე შესაბამისი სარგებლისა და ხარჯის შედარებით მოხდეს პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიება.
ეკონომიკური უსაფრთხოება	**5**	კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის კანონზომიერებების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა; ასწავლოს მას მაკროეკონომიკური პრობლემებისა და პროცესების, მიკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებისა და პრიორიტეტების კრიტიკულ პირობებში გამოყენება; სტუდენტს განუვითაროს ეკონომიკური საფრთხეების, გამოწვევების, რისკების პროგნოზირების უნარები, გააცნოს მას ზოგადად ეროვნული და განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის უსაფრთხო ფუნქციონირების თავისებურებები.
კრეატიული აზროვნების მეთოდები	**5**	კრეატიული (ეფექტიანი) აზროვნება იყენებს სხვადასხვაგვარ პროვოკაციულ ტექნიკებს გონებაში მიძინებული იდეების გამოსაღვიძებლად, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციური კონცეფციების ჩამოყალიბებას,

		ადამიანის საკუთარი აზროვნების შეცნობის, უკეთ გამოყენების და მართვის უზრუნველყოფის თანამედროვე, პრაქტიკული მიდგომებითა და კრეატიული აზროვნების ცნობილი მეთოდებით. აღნიშნული სასწავლო კურსი აზროვნებას განიხილავს, როგორც შესწავლად უნარს, როგორც კომპლექსურ პროცესს, რომელის დროსაც გონებაში წარმოიქმნება სრულიად ახალი ინფორმაციის ქსელი. კურსი მიმოიხილავს, ადამიანის ტვინის იდუმალებასა და სიმძლავრეს; მასში მიმდინარე პროცესების უშუალო კავშირს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან; ნოვატორული იდეების ძიების მეთოდოლოგიებს, აზროვნების ჩვევისა და უნარის დახვეწის მეთოდებსა და „ინტრუმენტებს“. უზრუნველყოფს საკუთარი აზროვნებისაგან სიამოვნების განცდის დანერგვას. სწავლების ჩვევის ოპტიმიზაციის საფუძველზე, სასწავლო პროცესი სტუდენტებისათვის უფრო შედეგიანი და ეფექტური ხდება.
ლიდერობა საჯარო სამსახურში	5	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს ღრმად და სისტემურად შეასწავლოს ლიდერობის შესახებ ტრადიციულ და თანამედროვე თეორიები; თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებით და გაძლიერებული პრაქტიკული კომპონენტით ხელი შეუწყოს სტუდენტების ინსაიტებს, საკუთარი ლიდერული უნარების აღმოჩენას და განვითარებას. კურსი ასევე მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა რათა მათ განავითაროს ორგანიზაციებში ლიდერობის უნარ-ჩვევები.
ელექტრონული მმართველობა და საინფორმაციო უსაფრთხოება	5	
Concentration (if any)		
Free Components/Minor		

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს აქვს საგნის ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. შეუძლია საგნის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. შეუძლია დარგისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. შეუძლია საგნისათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება; ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. შეუძლია საჯარო პოლიტიკისა და საჯარო მმართველობის სფეროში არსებული იდეების, კონცეფციების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის და სხვა შესაბამისი ხასიათის დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი დაინტერესებული პირებისათვის დოკუმენტში არსებული ძირითადი ასპექტების ზეპირი პრეზენტაცია; აქვს საჯარო ადმინისტრაციისა და სახელმწიფო მმართველობის სფეროში არსებული შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;

2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;

3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;

4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;

5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.